

**ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხი  
გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში**  
**ATTITUDE TOWARDS NATURE  
IN GODERDZI CHOKHELI'S  
LITERARY WORKS**

**ნინო ნაზღაიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Nino Nazghaidze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

By the end of the 1970s and the beginning of the 1980s, a prominent writer, Goderdzi Chokheli became a dominant presence in the Georgian literary scene. Despite his short life, he left a lasting impact on the Georgian culture and beyond.

There is a saying that you have to write about universal themes to gain worldwide significance. As another saying goes, those in isolated environments cannot claim their own greatness. He rarely left his region, Gudamakari mountains. So, why do we emphasize the vivid imprint and the way he transcends the limitations of the national culture? Because of his own expression: “the universe is reflected in a dewdrop”. It really is, if one can see it. In his famous publicist letter entitled Cosmopolitanism and Patriotism, Vazha-Pshavela stated: “I can’t imagine a person of sane intelligence, the owner of common sense, who does not love one nation or one corner of the world, more than others. Why? Because: one and the same person is not born in a thousand places, but he has to be born in one place, in one family, and have one mother!” (Vazha-Pshavela, Cosmopolitanism and Patriotism).

By the way, as everyone remembers there was the time when Vazha Pshavela had been regarded as a provincial author. But today his universal importance is acknowledged by everyone. Vakhushiti Kotetishvili claimed that Vazha kept everyone amazed, gazing at Pshavi mountains, and sparked their fascination” (M. Tsiklauri, Goderdzi Chokheli – Artwork Without Limits, Gioreli Publishing, Tbilisi, 2010). The same is true for Goderdzi Chokheli. He made us look at Gudamakari with the same awe and reverence. The proposed article is dealing with the writer’s attitude towards nature. Parallels between author’s works and the literary heritage by Vazha Pshavela as well as Vasil Barnov have been identified. The discussion is structured around the following novels by Chokheli: “Human Sadness”, “Fish’s Letters”, “A Letter to Spruce Trees”, “Performer in a Leading Role”, „Forget-me-not on Borbalo Mountain”, „Flying with an Eagle”, “Wildflower Bouquet”, and “Red Wolf”. As observed in the above short stories and novels, the dividing line between humans and

nature has become obsolete. Here, they illustrate not just a mere relationship between human beings and nature; rather, the former openly transform into nature at times. The personification is not just an ordinary artistic method for the author as he considers everything around him to be alive.

In conclusion, to a certain extent, Goderdzi Chokheli's attitudes towards nature indeed show some resemblance to those of Vazha Pshavela and Vasil Barnov. However, he has an utterly distinct vision creating a new stage in Georgian literature.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული მწერლობა, ადამიანი და ბუნება, გოდერძი ჩოხელი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ-ბარნოვი.

**Keywords:** Georgian literature, man and nature, Goderdzi Chokheli, Vazha-Pshavela, Vasil Barnov.

„ყველაზე დიდი, ყველაზე იდუმალი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე მარადიული ამ დედამიწაზე (რამდენადაც შეიძლება დედამიწა მარადიული იყოს) - ბუნება და ბუნებაში -გაზაფხული“ /გ. ჩოხელი/ (ზედელამვილი 2012: 9).

სრულიად განსაკუთრებულია გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება ბუნებისადმი. ხშირად საუბრობენ მისი და ვაჟა-ფშაველას მსგავსებაზე და ალბათ ყველაზე მეტად ამ მსგავსებაში სწორედ ეს საკითხი მოიაზრება. ჩვენი აზრით, მწერლისეული შეხედულებები ვასილ ბარნოვთანაც ამჟღავნებს კავშირს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ე.წ. სულთა გადასახლების თეორია.

ჩოხელისთვის ბუნების ყველა მოვლენა ადამიანის თვისებებს ატარებს. მისთვის ეს უკვე აღარ არის მხატვრული ხერხის ხშირი ხმარება. მწერალი ცოცხლად აღიქვამს ყველაფერს, რაც მის გარშემოა და მკითხველსაც ასე წარმოუდგენს:

„სიოც კი არ ქროდა, მაგრამ თუ დაუკვირდებოდი, ეს გაყვითლებული ფოთლები კრთოდნენ, ირხოდნენ, თითქოს გრძნობდნენ დასასრულს და შიშით კანკალებდნენ“ (ჩოხელი 2007: 32).

„მთების წვერები არ ჩანდა, ზეცა იყო მათზე ღრუბლებით ჩამოყრდნობილი“ (იქვე: 33).

„საოცრება იყო, როდესაც მოლოდინით გაფერმკრთალებულ მთებს, სათოვარი ღრუბლები გადმოადგებოდნენ თავზე, გადაეკვროდნენ მთელ ცას, პირშეკრული ზეცა, ქვემოთ, ხეობის სიღრმისაკენ ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ჩამოიწვედა და წიფლიანი ტყეების ზემოთ შეჩერდებოდა, დაიმუხტებოდა. მაშინ დედამიწაც ზეცის მოახლოვებას გრძნობდა და იმის გულს ბაგა-ბუგი გაუდიდოდა“ (ჩოხელი 2007: 33).

აგრეთვე ცოცხლად აღიქმება დედამიწა მოთხრობაში „წერილი ნაძვებს“. საუბარია ბერის სიზმარზე, სადაც პერსონაჟი ზემოდან დაჰყურებს ჩვენს პლანეტას და წერს:

„სუნთქავს მიწა... მიწის გულიდან რომ გამოვდივარ, ყველაფერი რაც კი მის ტანზე ხდება, მიწის სიზმარი მგონია.

ხან შორს მიმაფრენს და შორიდან ვუყურებ დედამიწას.

დედამიწას იქიდან სხვანაირს ვხედავ: ცოცხალს!

შორიდან კარგად ჩანს, როგორ გამოდიან ათასნაირი სახეები მიწიდან და ისევ მიწას უერთდებიან...

ნეტავი ერთხელ ჩემს სიზმრებში ჩაგახედათ და განახათ, როგორი სახე აქვს იქ დედამიწას» (ჩოხელი 2010: 47-48).

„ადამიანთა სევდის“ პერსონაჟიც კითხვაზე, სული უდგას თუ არა დედამიწას, პასუხობს, რომ ამას თქმაც არ სჭირდება.

ვაჟაზე ამბობენ, რომ ბუნების ლაპარაკი ესმოდა. ესმის გოდერძი ჩოხელსაც, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ კიდევ უფრო სხვა საფეხურია. ჩოხელმა საერთოდ წაშალა ზღვარი ბუნებასა და ადამიანს შორის. მისი გმირები არათუ უბრალოდ ურთიერთობენ ბუნებასთან, არამედ გადადიან, გადაიზრდებიან მასში.

რომანში „წითელი მგელი“ ლუკასთან საუბრისას თევდორე საინტერესო აზრს გამოთქვამს:

„ყველანი იმად არიან დღემდე, რადაც გააჩინა გამჩენმა.

მერე, ვინ იცის, ზოგი მგლად ვიქცევით, ზოგი ფუტკრად, ზოგი ობობად, ზოგიც ციცინათელებად, იმისდამიხედვით, თუ ვინ როგორ ვცხოვრობდით ამ ქვეყანაზე“ (ჩოხელი 2007: 179).

კ. ლორია განიხილავს ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობას და ასკვნის:

„ვასილ ბარნოვი, მისი შემოქმედებიდან გამომდინარე ე. წ. სულთა ღოდვის თეორიას აღიარებს“ (ლორია 2009: 106). ამ თეორიის თანახმად ადამიანის სულს რამდენჯერმე დაბადების უნარი აქვს. ზოგჯერ განსხეულება ისევ ადამიანის სახით ხდება, ზოგჯერ კი სული მცენარეში, ცხოველში სახლდება.

მკვლევარს განსაკუთრებული ყურადღება აქვს გამახვილებული ბარნოვის ერთ მოთხრობაზე, სადაც მთავარი პერსონაჟი წინა ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვისთვის ისჯება. კეკლუცმა დიდგვაროვანმა ხელი ჰკრა თავისი ქვეშევრდომის სიყვარულს, რის გამოც შემდეგი ცხოვრების გატარება კუზიან სხეულში მოუწია. სიკვდილის წინ ქალი საქორწინო კაბას იკერავს და უარყოფილ სატრფოსთან შესახვედრად ემზადება. საგულისხმოა, რომ კაბა ძველ ტანზეა შეკერილი.

ვფიქრობთ, მსგავსება აშკარაა. მაგრამ არის განსხვავებაც: ჩოხელისეული ხედვით, სულმა შეიძლება სხვა სხეულში გადაინაცვლოს, მაგრამ ჯერ ერთში უნდა დაასრულოს თავისი არსებობა, შემდეგ კი სრულად დაივიწყოს განვლილი ცხოვრება. სრული დავიწყება დასასრულს ნიშნავს მწერლისთვის.

როგორც უკვე ვთქვით, გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში ზღვარი წაშლილია ადამიანსა და ბუნებას შორის. აქ მგელს უმეგობრდება კაცი (მოთხრობა „მგელი“), ძმად ეფიცება არწივს პატარა ბიჭი („გიგია

ბუბუნაურის ძმადნაფიცი“ რომანიდან „ადამიანთა სევდა“), დათვს უყვარდება ქალი, ცოლად მიჰყავს და თავს სწირავს მის გამო (მოთხრობა „ველური ყვავილების თაიგული“, „დათვი“ რომანიდან „სულეთის კიდობანი“).

მწერლის შემოქმედებაში არის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებშიც ადამიანები იჩემებენ რომელიმე ცხოველად ყოფნას. მაგალითად, ასეთებია: „თევზის წერილები“, სადაც მთავარი პერსონაჟი თევზობას იბრალებს; ასევე, „მთავარი როლის შემსრულებელი“, რომელშიც კაცს თავი ირემი ჰგონია. ორივე გმირი უარყოფს ადამიანობას და სხვა სახეში ცდილობს გადასვლას, მაგრამ პირველისთვის თუ ეს პროტესტის ფორმაა, მეორე მართლა იჯერებს თავის ირმობას.

განსაკუთრებით საინტერესოა გ. ჩოხელის ნაწარმოებთა ერთი წყება, სადაც ადამიანები რაიმეს კი არ იჩემებენ, არამედ პირდაპირ გადაიზრდებიან ბუნებაში. ასეთად შეიძლება დავასახელოთ, პირველ რიგში, მოთხრობა „წერილი ნაძვებს“, სადაც ბერი ნაძვად იქცევა, ხეში აგრძელებს ყოფნას. რაც მთავარია, ეს არ არის უბრალო გადაქცევა, ხე თავად პერსონაჟს ამოუვა მხარზე და ნელ-ნელა ხდება ერთი სიცოცხლის ფორმის მეორეში გადაზრდა. მოთხრობის ბოლოს მთავარი გმირის ადამიანური ნაწილი კვდება და მის ნაცვლად ნაძვი ცოცხლდება. ბერი ტყეში წავა, წელამდე ჩადგება მიწაში და დაელოდება:

„უკანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ის იყო, თუ როგორ შეავსო ორმა სხეულმა ერთი მთლიანი და გახდა ერთსახე, რომელიც წვრილი ფესვებით საოცარი სისწრაფით ჩაებღაუჭა მიწას.

ხოლო პირველი, რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო» (ჩოხელი 2010: 49).

რაღაც მხრივ ამავე რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ მოთხრობა „არწივთან ფრენაც“. მწყემსს, რომელიც თავის ფარაზე გადამტერებულ და წყაროსთან დამჯდარ არწივს დაჭერას მოუნდომებს, ფრინველი გაიტაცებს. უფრო სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ შემთხვევით აიყოლებს გაფრენისას, რადგან კლანჭებით მის ხელებსაა ჩაფრენილი.

ფრინველი მაქსინას საკუთარ ბუდეში მიიყვანს და სრულიად გაურკვეველი მიზეზით იცავს მამალი არწივისგან. მაქსინას ბუდეში გადასახლების შემდეგ ბარტყებიც გამოიჩეკნენ, მამა არწივიც მოკვდა და თავადაც სიკვდილის პირას იყო მისული, ახალ ბატონსა და პატრონს წყაროზე რომ არ ჩაეფრინა დიდი რისკის მიუხედავად. გაფრთხილებულმა ხალხმა დანა დაუტოვა დაკარგულ მწყემსს წყალთან, რომ თავის გათავისუფლება მოეხერხებინა. მაქსინას რთული არჩევნის გაკეთება უწევს: ან არწივს უნდა მოაჭრას ფხები (სხვანაირად ვერ გაითავისუფლებს თავს) და ბარტყები შიმშილით დახოცოს, ან ისევ ბუდეში გაჰყვეს ფრინველს, სადაც გარდაუვალი სიკვდილი ელოდება. პერსონაჟი მეორე ვარიანტს ირჩევს. ხალხადევნებულ და დამფრთხალ არწივს აფრენაშიც კი ეხმარება. მაქსინაც ბერის მსგავსად თავს იმეტებს სხვისი სიცოცხლისთვის, რომელიც არის კიდევ სხვა და არც არის. არ არის იმიტომ, რომ პერსონაჟს გაგრძელება შეცვლილი ფორმით.

არწივის მართვად იქცევა ბავშვი „სულეთის კიდობანში“ ჩართულ მოთხრობაშიც. ამ ნაწარმოებში მონადირემ არწივის კვერცხები მოიპარა და თავის ორსულ ცოლს ჩაურია ჩუმი ტაფამწვარში. ქალმა გველი და ბიჭი დაბადა (ანალოგიური ამბავი „წითელ მგელშიც“ გვხვდება). ბიჭს მარცხენა მხარზე ჯერ გაუნათდა რაღაც, მერე ნათება ჩაქრა და არწივი გამოესახა. მერე დედალი არწივი მოსტაცებს შვილს მონადირეს. კარგა ხნის შემდეგ მართვესთან ერთად დაინახავს მონადირის ცოლი იმ არწივს. მართვე ანათებს და ქალი მთელი ხმით უხმობს თავის ფრინველად ქცეულ შვილს.

ძალიან საინტერესოა მოთხრობა „კესანე ბორბალოს მთაზე“. თავის წაწალზე შეყვარებულ გოგონას ძალით უპირებენ სხვაზე გათხოვებას. მთავარი გმირი ღამით მთაზე მიდის და ღმერთს შველას სთხოვს. პერსონაჟი ყვავილად იქცევა. მაგრამ ხდება უკან დაბრუნებაც. სატრფოს ვედრება ისევ გოგონას სახეს უბრუნებს კესანეს.

და ბოლოს, ამავე რიგში უნდა ჩავაყენოთ რომანი „წითელი მგელი“. აქაც ერთ-ერთი მთავარი გმირი, თევდორე ჯერ მგლად, შემდეგ კი ისევ ადამიანად იქცევა. და ის არ არის ერთადერთი, რომანში დახატული სხვა მგლებიც ოდესღაც ადამიანები იყვნენ და რიგ შემთხვევებში ისინიც უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ სახეს. ნაწარმოები სამი ნაწილისგან შედგება: ქალაქი, წითელი მგელი და სოფელი. ლუკა ჯოჯოხეთიდან (ქალაქი) განსაწმენდელის (მგელყოფილი თევდორეს სახლი) გავლით მიდის სამოთხეში (სოფელი). სწორედ მეორე ნაწილში ახვედრებს მწერალი ქალსიდან გამოქცეულ ბიჭსა და ადამიანობაში დაბრუნებულ მგელს ერთმანეთს. თევდორე ლუკას აღსარებასავით უყვება თავისი უცნაური ცხოვრების შესახებ: როგორ მოინათლა მგლად და როგორ იპოვა შემდეგ გზა უკან დასაბრუნებლად.

როგორც დავინახეთ, გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება ბუნებასთან გარკვეულწილად მართლაც ეხმიანება ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვის მიმართებებს. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მწერლისეული ხედვა სრულიად განსაკუთრებულია და ახალ საფეხურს ქმნის ქართულ ლიტერატურაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**ზედელაშვილი 2012:** ზედელაშვილი ნ., ნაწილიანი. მოგონებები გოდერძი ჩოხელზე. თბილისი, 2012.

**ლორია 2009:** ლორია კ., ლიტერატურული ჰორიზონტები. თბილისი, 2009.

**ჩოხელი 2007:** ჩოხელი გ., წითელი მგელი (ორი რომანი). თბილისი, 2007.

**ჩოხელი 2010:** ჩოხელი გ., ჩემი წიგნი. თბილისი, 2010.